განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
მევენახეობა და მეღვინეობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
საქართველოს ტექნიკურინ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 24.02.2020 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი- 01.05.2020 წ.

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მევენახეობა და მეღვინეობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარული მეცნიერებების მაგისტრი, 0101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა წიკლაური, შპს „გლავსპირტპრომი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან გულუა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა კოტეტიშვილი, გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთი რობაქიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე 2015 წლიდან (აკრედიტაცის საბჭოს გადაწყვეტილება №43, 18.03.2015). სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, გრძელდება 2 წელი, ანუ 4 სემესტრი. მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი - 75 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს - 5 კრედიტი, თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმს - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება-დაცვა - 30 კრედიტი. პროგრამაში ჩართულია 111 ადამიანი. მათ შორის აფილირებული პროფესორი - 5, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 4, მოწვეული პერსონალი - 6, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი -96. პროგრამაზე ირიცხება 30 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 24 თებერვალს. სააკრედიტაციო ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან: ნანა წიკლაური (თავმჯდომარე), ლევან გულუა (წევრი), მამუკა კოტეტიშვილი (წევრი), ქეთი რობაქიძე (წევრი). ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით და განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. დასასრულს, სააკრედიტაციო ექსპერტთა ჯგუფმა სტუ-ს წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელს გააცნო ძირითადი მიგნებები და გაუზიარა რჩევები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
2. არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.
3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
4. არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.
5. არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია ამჟამინდელი მისანიჭებელი კლასიფიკაციის მიხედვით და ჩამოყალიბდეს როგორც 0811.1.2 - მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი;
2. განხორციელდეს ცვლილება პროგრამაზე დაშვების შიდა საუნივერსიტეტო პირობებში, იმგვარად რომ მიღებული სტუდენტების კონტიგენტს თანაბრად და წარმატებით შეეძლოს არსებული პროგრამის დაძლევა;

3. პროგრამაზე ჩაირიცხონ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ დაშვების წინა პირობას;
4. არასათანადო წესით ჩარიცხული სტუდენტების მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები;
5. გასწორდეს პროგრამის აღწერა და შესაბამისობაში მოვიდეს ცხრილთან „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“;
6. პროგრამის აღწერაში დაემატოს არჩევითი კურსები: „ფიზიკური და კოლოდური ქიმია“, „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“;
7. ცხრილში „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“ გასწორდეს შეცდომები;
8. საგანი „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ გახდეს სავალდებულო;
9. პირველ სემესტრში დაემატოს მევენახეობა-მეღვინეობის შესავალი არჩევითი კურსი;
10. სილაბუსში „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“ თავიდან ჩამოყალიბდეს ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი და თემატიკა, განისაზღვროს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა;
11. სილაბუსი „საწარმოო ნარჩენების მართვა“ უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ძირითადი ლიტერატურითა და სახელმძღვანელოთი;
12. მთლიანად შეიცვალოს „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკის“ სილაბუსის შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში დასახელებასთან;
13. სილაბუსში „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური ზღვრები;
14. სილაბუსში „ღვინის ქიმია“ აღმოიფხვრას დუბლირებები საკუთრივ ამ კურსის ლაბორატორიულ სამუშაოებში და ასევე, „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმიის“ ლაბორატორიულ სამუშაოებთან, განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, დაიხვეწოს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა;
15. სილაბუსში „ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი“ შეფასების კომპონენტში გათვალისწინებულ იქნას ლაბორატორიული სამუშაოები და განისაზღვროს ამ სამუშაოების შეფასების კრიტერიუმები;
16. სილაბუსში „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია“ შეიცვალოს პირველი ოთხი სალექციო მასალის თემატიკა და მოვიდეს კურსის დასახელებასთან შესაბამისობაში, აღმოიფხვრას დუბლირებები ლაბორატორიულ სამუშაოებში „ღვინის ქიმიის“ კურსთან;
17. შეიცვალოს სილაბუსის „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ შინაარსი და მოვიდეს მის დასახელებასთან შესაბამისობაში;
18. სილაბუსები „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ და „საველე და საწარმოო პრაქტიკა“ ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გათვალისწინებულ იქნას სტუდენტების უშუალო მონაწილეობა საწარმოო პროცესებში და არა მხოლოდ დათვალიერება/გაცნობა;
19. გაიზარდოს საწარმოო უბანზე სტუდენტების დასწრების საათების რაოდენობა სათანადო დონემდე;
20. ძირეულად შეიცვალოს პრაქტიკის დღიურების ჩანაწერების წარმოების წესი და შინაარსი;

21. გაძლიერდეს პრაქტიკისა და ლაბორატორიული მუშაობის მეთოდების გამოყენება სწავლების მეთოდებში და გათვალისწინებულ იქნას როგორც შეფასების კრიტერიუმები;
22. პროგრამაში მიეთითოს აპელაციისა და პლაგიატის საწინააღმდეგო დოკუმენტები;
23. პროგრამის ხელმძღვანელმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სილაბუსების შემუშავება-რედაქტირებაში და სასწავლო-საწარმოო მეცადინეობა-პრაქტიკის სწორად დაგეგმვა-შესრულებაში;
24. პროგრამაში დასაქმებულმა აკადემიურმა, სამეცნიერო და მოწვეულმა პერსონალმა მეტად განახორციელოს მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა;
25. აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნოს უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიები;
26. „ღვინის ქიმიის“ ლაბორატორიული მეცადინეობები ჩატარდეს უნივერსიტეტის ლაბორატორიებში;
27. გასწორდეს ხარვეზები ბიუჯეტის წარმოდგენილ დოკუმენტში;
28. სრულად დაითვალოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. შედეგების აპელაციის სისტემის გამარტივება და მის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;
2. სტუდენტებისთვის საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზებზე უნივერსიტეტის გარეთ ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით, სასურველია, გარკვეული პერიოდულობით ხდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
4. სასურველია, პირადი ელექტრონული მონაცემების მითითებით სტუდენტებს ნებისმიერი ადგილიდან ჰქონდეთ წვდომა საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ○ სამაგისტრო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ მიზნებია სტუდენტს შეასწავლოს აღნიშნულ დარგებთან პირდაპირ დაკავშირებული კრიტიკული ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად მოიცავს აგროტექნოლოგიას, ვენახის გაშენებისთვის მოთხოვნებს, მოვლა-მოყვანის თავისებურებებს, ყურძნის ტრადიციულ, ინოვაციურ და კლასიკური გადამუშავების პროცესებს და შესაბამის სტანდარტებს, ალკოჰოლური დუღილთან ასოცირებულ ფიზიკურ-ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებს, ღვინის დაავადებებს და ა.შ. ○ პროგრამის მიზნები მკვეთრადაა ჩამოყალიბებული აგრარული მეცნიერებების მაგისტრის ხარისხის სტანდარტებთან ადექვატური კომპეტენტური პროფესიონალების მოსამზადებლად ზემოთ აღნიშნულ სფეროებში. თუმცა, პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი 0101 არ შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ამჟამინდელ ვერსიას. ამიტომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი 0811.1.2 ○ სამაგისტრო პროგრამაში, მიზნებთან მიმართებაში, ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტებისთვის შეთავაზებულ <u>დასაქმების სფერო</u>ს აღწერილობას, რადგან იგი დასახული მიზნების არაადექვატურია. ○ პროგრამაში წარმოდგენილ <u>დასაქმების სფერო</u>ებად მითითებულია საგანმანათლებლო დაწესებულებები, აკრედიტებული ლაბორატორიები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო და ა.შ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული ჩამონათვალი არა

დასაქმების სფეროებია, არამედ ორგანიზაციებია
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ; ○ სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○ მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი 0811.1.2 ○ სამაგისტრო პროგრამაში შესაბამისად და ნათლად ჩამოყალიბდეს დასაქმების სფეროები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -არ არის ○ არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს: 1. იმ ბიოქიმიურ და ფიზიკო-ქიმიურ პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ყურძნის გადამუშავების პროცესში; 2. ყურძნის გადამუშავების კლასიკურ, ტრადიციულ და ინოვაციურ მიდგომებს მსოფლიოში, და ადგენს ყურძნის სიმწიფეს, მისი გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს და მოსავლის ხარისხს სხვადასხვა ტიპის ღვინის წარმოების მიზნებისთვის; 3. აგროკლიმატური პირობების გავლენას ვაზსა და ღვინის ხარისხზე; 4. ვენახის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ ოპერაციებს და მოსავლის ორგანიზებას, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; 5. მევენახეობაში დამკვიდრებულ საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; 6. მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის მახასიათებლებს, ადგილწარმოშობის დასახელების რეგიონებს და მათ მახასიათებლებს გავრცელებული ვაზის ჯიშების და აგროტექნოლოგიური თავისებურებებთან ერთად; 7. ღვინის დაავადებების იდენტიფიცირებას და მათი პრევენციისა და აღმოფხვრის გზებს; 8. ღვინის სადეგუსტაციო მოთხოვნებს და სტანდარტებს; 9. ღვინის წარმოებას, როგორც უძველესი კულტურის ნაწილს და მის მნიშვნელობას ქვეყნის ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარებაში; 10. რთველის ინიცირების ოპტიმალურ პირობებს, ღვინის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს და მათ მართვას; 11. ყურძნის მოყვანის პროცესების და მეღვინეობის პრაქტიკის მონიტორინგს მოქმედი რეგულაციების

შესაბამისად; 12. პროდუქციის გაუმჯობესებას წარმოების ახალი ტექნოლოგიების შემუშავების და არსებული მეთოდების და ტექნოლოგიების დახვეწის გზით, მის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საბაზრო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნებისთვის; 13. მევენახეობა-მეღვინეობის კრიტიკულ ანალიზს, პერსპექტივებს და ინოვაციას პროფესიული კომუნიკაციის ტექნოლოგიებთან ერთად;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მნიშვნელოვან დახვეწას მოითხოვს. კერძოდ, აღნიშნული სამაგისტრო სწავლების შედეგების აღწერაში ვკითხულობთ, რომ პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრი აღჭურვილი იქნება ცოდნით:
- 1. აღწეროს აგროკლიმატური პირობების გავლენა ვაზსა და ღვინის ხარისხზე. **შენიშვნა:** უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში კურსი „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ - სფეროები, რომელთა სირღმისეული ცოდნა აპრიორია ამ მიზნების მისაღწევად - არა სავალდებულო, არამედ არჩევით საგნადაა წარმოდგენილი პროგრამაში.
- 2. ყურძნის გადამუშავების დროს მიმდინარე ბიოქიმიურ და ფიზიკო-ქიმიურ პროცესებზე და ღვინის დაავადებების იდენტიფიცირებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ლაბორატორიული და პრაქტიკის ცოდნის დაუფლების აუცილებლობას, რაც განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე სწავლების ერთ-ერთი ინტეგრალური და კრიტიკული ელემენტია ამ მიმართულებებით ცოდნის სრულყოფისთვის. **შენიშვნა:** საკმაოდ ბევრ სილაბუსში (მაგ., „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია”, „მევენახეობის ოპერაციული მართვა“, „ღვინის ქიმია“, „ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი“ და ა.შ.) იგნორირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ისეთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმები, როგორიცაა **ლაბორატორია** და **პრაქტიკა. (მინიშნება:** თვითონ სამაგისტრო პროგრამის აღწერაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდების ქვეშ კი ეს კრიტერიუმები გათვალისწინებულია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- ლაბორატორია და პრაქტიკა გათვალისწინებული იქნას, როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები, ყველა შესაბამისი კურსის სილაბუსში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია აგრარული მეცნიერების, მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა, აგრეთვე საერთო სამაგისტრო და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდების ჩაბარება. გამოცდის საკითხები/ტესტები უნდა განთავსდეს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის გვერდზე გამოცდებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამის განმახორციელებლების თანახმად, ამ ტესტების მეშვეობით უნდა შეირჩეს ისეთი სტუდენტები, რომლებიც, მიუხედავად ბაკალავრიატის სპეციალობაში განსხვავებისა თანაბრად შეძლებენ მოცემული პროგრამის ათვისებას. მაგრამ, სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ სინამდვილეში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ჩარიცხული სტუდენტების ცოდნაში, რაც წინაარმდეგობას ქმნის სწავლის პროცესში და პედაგოგები იძულებული არიან ჯგუფი დაყონ ორ ნაწილად: „ძლიერებად“ და „სუსტებად“ და შესაბამისად სხვადასხვანაირად ჩაუტარონ მეცადინეობები. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ვიზიტის ფარგლებში, მიუხედავად მოთხოვნისა, ვერ

მივიღეთ ამგვარი ტესტების ნიმუში, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა თავად ამ ტესტების ხარისხი სტუდენტების შერჩევის პროცესში. ამასთანავე, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ მათ შორის იყვნენ სტუდენტები, რომლებსაც ქონდათ ბიზნესის, ტურიზმის, სამედიცინო, ჰუმანიტარული სპეციალობების ბაკალავრის ხარისხი, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის თვით პრაგრამაში გაცხადებულ დაშვების წინა პირობებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში იგნორირებულია ინგლისური ენის ცოდნა, მაშინ როდესაც სილაბუსებში, საკმაოდ ხშირად, დამხმარე ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა შედგენილი (რომელთა შორის წარმოდგენილია <u>კრიტიკული ლიტერატურული წყაროებიც - სრულიად სამართლიანად, რადგან მჯერა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამაში ჩართულ ლექტორებს მკაცრად აქვთ გათავისებული ის ფაქტი, რომ სილაბუსში წარმოდგენილი მხოლოდ ქართულ ენაზე შედგენილი სასწავლო ლიტერატურული წყაროები ვერ უზრუნველყოფენ შემუშავებული პროგრამის მიზნების მიღწევას და მაღალ სტანდარტებს</u>).

ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ პროგრამის შინაარსი არ/ვერ ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამაზე დაიშვებიან სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტები, შესაბამისად, (როგორც გამოვლინდა) სხვადასხვა საწყისი ცოდნით. ეს კი შემდგომ სწავლებაში ქმნის გარკვეულ წინააღმდეგობას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირველ სემესტრში ისწავლებოდეს მევენახეობა-მეღვინეობის შესავალი კურსი, როგორც არჩევითი საგანი, მათთვის ვისაც შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატი არ აქვს დამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- განხორციელდეს ცვლილება პროგრამაზე დაშვების შიდა საუნივერსიტეტო პირობებში, იმგვარად რომ მიღებული სტუდენტების კონტიგენტს თანაბრად და

წარმატებით შეეძლოს არსებული პროგრამის დაძლევა; - პროგრამაზე ჩაირიცხონ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ დაშვების წინა პირობას; - არასათანადო წესით ჩარიცხული სტუდენტების მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები; - პირველ სემესტრში დაემატოს მევენახეობა-მეღვინეობის შესავალი არჩევითი კურსი; - შეთავაზებულ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს შორის უნდა იყოს გათვალისწინებული ინგლისური ენის სათანადო ფლობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐<u>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</u>

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხანგრძლივობა არის ორი წელი. პროგრამაში ვკითხულობთ, რომ იგი შედგება 120 კრედიტისაგან. თითოეული კრედიტი ტოლია 25 საათის. აქედან 75 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 45 კრედიტი - კვლევით კომპონენტს, პროგრამის აღწერაში მოცემულია სასწავლო კურსების თანმიმდევრობა პირველ და მეორე სასწავლო წლებში. თუმცა ამ აღწერაში საერთოდ არ არის მოცემული შემდეგი არჩევითი კურსები: „ფიზიკური და კოლოდური ქიმია“, „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“, სამაგიეროდ ეს საგნები მოცემულია ცხრილში „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“. ეს გარემოება მნიშვნელოვან გაუგებრობას იწვევს კრედიტების დაჯამებისას. კერძოდ, პროგრამის აღწერაში ვკითხულობთ, რომ პროგრამის პირველი წლის მეორე სემესტრში სტუდენტი სწავლობს 3 ხუთკრედიტიან და ერთ 6 კრედიტიან სავალდებულო კურსს, ასევე მას აქვს 5 კრედიტიანი სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი, რაც ჯამში, ცხადია, შეადგენს **26** კრედიტს, ხოლო პროგრამაში წერია, რომ ამ საგნების კრედიტების რაოდენობა **30** კრედიტია. სინამდვილეში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ აღწერაში, როგორც აღვნიშნეთ, გამორჩენილია 4 კრედიტიანი არჩევითი საგნები: „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“, „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“. აღსანიშნავია, რომ ცხრილში „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“ დაშვებულია შეცდომები, რაც ასევე ართულებს რეალობის აღქმას. მაგალითად, ამ ცხრილში ვკითხულობთ, რომ პირველიდან მეოთხეს ჩათვლით სემესტრების მიხედვით დაჯამებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობაა თანმიმდევრულად: 30, 25, 20 და 30. რაც ჯამში შეადგენს 105 კრედიტს და არა 75-ს როგორც ეს ამ ცხრილშია დაჯამებული. სავარაუდოდ, მეოთხე სვეტში 30 კრედიტის ნაცვლად 0 კრედიტი უნდა ეწეროს. მაშინ ჯამი მართლაც 75 იქნება. იქვე ცხრილის გაგრძელებაში კვლევითი კომპონენტის დამატებისას მეოთხე სემესტრში გამოდის 30+30=60 კრედიტი და არა 30, როგორც ცხრილშია. ასე, რომ უჯრაში „სულ“ 150 კრედიტი უნდა ეწეროს. ცხრილში კი სრულიად ხელოვნურად წერია 120 კრედიტი.

საბოლოო ჯამში პროგრამის აღწერა და ცხრილი ერთმანეთთან შეუსაბამობაშია, რაც ბუნდოვანს ხდის პროგრამას და გვაიძულებს, რომ ვივარაუდოთ თუ რა უნდა ეწეროს სინამდვილეში.

აგრეთვე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საგანი „მოწყობილობათა ოპერეციები“ არჩევითი სტატუსიდან გადავიდეს სავალდებულო საგნების სიაში. ვინაიდან ეს არის ერთადერთი საგანი პროგრამაში, რომლის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ყურძნისული წარმოშობის

ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიების მთავარი მოწყობილობების ოპერაციები, პროცესების ფუნდამეტალური (ფენომენოლოგიური) საფუძვლები, მატერიალურ-ენერგეტიკული ბალანსები და პროცესების კინეტიკა, გააცნოს სპეციფიკური ტერმინოლოგია, ტექნოლოგიური პროცესების ანალიზის, გაანგარიშების და ოპტიმიზაციის განსახორციელებლად საჭირო საანგარიშო დამოკიდებულებები, მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების მეთოდები ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოუმუშავოს სტუდენტს ინჟინრული აზროვნების უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია მეღვინისათვის.

ბიზნესკომუნიკაციის კურსი შეთავაზებულია სტუდენტებისთვის რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე. ამავე დროს, აღნიშნული კურსის სილაბუსებში მოცემული **ძირითადი ლიტერატურა** კურსებს შორის რადიკალურად განსხვავდება, რაც არ აყენებს ყველა სტუდენტს ცოდნის შეძენის ერთ თანაბარ საფეხურზე იმის მიუხედავად, რომ თემები აბსოლუტურად ადექვატურია კურსებს (და არა წარმოდგენილ **ძირითად ლიტერატურას**) შორის. ამასთანავე, მაშინ როდესაც რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე ბიზნესკომუნიკაცია საჭიროებას წარმოადგენს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, პირველ რიგში ის საჭიროა ქართულ ენაზე (რაც არ არის გათვალისწინებული).

შენიშვნა: თუ ბიზნესკომუნიკაციის ქვეშ მარტო ენობრივი კომუნიკაციის სხვაობები იგულისხმება, მაშინ ასეთი კურსები უცხო ენების სწავლაზეა უფრო ორიენტირებული ვიდრე ბიზნესკომუნიკაციაზე (რაც ცხადია სილაბუსების თანახმად ასე არ არის და არც უნდა იყოს);

პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსი „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ წარმოდგენილია როგორც არჩევითი კურსი, მაშინ როდესაც აღნიშნული სფეროს სწავლება კრიტიკულია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- გასწორდეს პროგრამის აღწერა და შესაბამისობაში მოვიდეს ცხრილთან „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“;
- პროგრამის აღწერაში დაემატოს არჩევითი კურსები: „ფიზიკური და კოლოდური ქიმია“, „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“;
- ცხრილში „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“ გასწორდეს შეცდომები;
- საგანი „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ გახდეს სავალდებულო;
- ბიზნესკომუნიკაციის კურსებისთვის შერჩეული იყოს ვალიდური და უნიფორმული საერთო ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში კურსების გასწვრივ, რომლებიც შეიძლება მიეწოდოს სტუდენტებს სხვადასხვა ენაზე (საჭიროების მიხედვით).
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐<u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის

სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამა შედგება 25 სასწავლო კურსისაგან. გათვალისწინებულია, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსები. სილაბუსების აბსოლუტური უმრავლესობისათვის დამოუკიდებლად მუშაობის საათების თანაფარდობა მთლიანი საათების 62 ან 68%-ს შეადგენს. შესაბამისად საკონტაქტო საათების წილი 38 ან 32%-ია. პირველი სემესტრის კურსების ნაწილი წარმოადგენს შემდგომი სემესტრების კურსების ნაწილის პრერეკვიზიტს. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სილაბუსების განხილვისას და ინტერვიუს დროს გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ხარვეზები: ○ **სილაბუსში „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“**ლაბორატორიული სამუშაოები სინამდვილეში წარმოადგენს ამოცანების ამოხსნას და სხვა თეორიულ სამუშაოებს. მაგალითად „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის“ პირველი ლაბორატორიული მეცადინეობაა „გამოჩენილი მეცნიერების როლი ფიზიკური ქიმიის განვითარებაში“. ან, მაგალითად, იგივე სილაბუსის მე-3 მეცადინეობაა „ თერმოდინამიკის მეორე კანონი, მისი გამოყენება პროცესის მიმართულებისა და წონასწორობის პირობების განსაზღვრისათვის. სითბური ეფექტის განსაზღვრა სტანდარტულ და არასტანდარტულ პირობებში. თერმოდინამიკური ფუნქციების გათვლის ქვანტურ-სტატისტიკური მეთოდი. ამოცანები თერმოდინამიკის კანონებზე“. ასე, რომ, სინამდვილეში, აღნიშნული სილაბუსები არ გულისხმობს ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას, თუმცა ფორმალურად ლაბორატორიულ სამუშაოებს 15 საათი აქვს გამოყოფილი. გარდა ამისა, სილაბუსში, შეფასების კომპონენტში, არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები და შესაბამისად არ არის მოცემული ე.წ. ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების წესიც. გაუგებარია, რატომ ჰქვია აღნიშნულ მეცადინეობებს ლაბორატორიული მეცადინეობა. ○ **სილაბუსში „საწარმოთა ნარჩენების მართვა“** ძირითად ლიტერატურაში მოცემული მასალა არ შეესაბამება სალექციო მასალის თემებსა და შინაარსს. ასე მაგალითად, სალექციო მასალაში მოცემულია შემდეგი საკითხები: „ზეითუნის ზეთის, ბოსტნეულის, მარცვლეულის, ღვინის და სხვ წარმოებათა ნარჩენების გადამუშავების მეთოდები, გამოყენება“. ამავე დროს ძირითადი ლიტერატურის **არცერთი** მასალა არ შეესაბამება მოცემულ თემატიკას. უფრო მეტიც, მითითებული ძირითადი ლიტერატურა ნაკლებად პროფესიონალურია და უფრო მეტად გამიზნულია არაპროფესიონალი მკითხველისათვის. ასე, რომ, ფაქტობრივად სტუდენტებს არ

გააჩნიათ სახელმძღვანელო, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული საკითხების შესწავლა.

- **სილაბუსში „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“,** სინამდვილეში არავითარი ლოჯისტიკური საკითხები არ არის განხილული. მისი დასახელება არ შეესაბამება სილაბუსის შინაარსს. ევროპის ლოგისტიკის ასოციაციის (ელა) განმარტებით, „ლოგისტიკა (ფართო გაგებით) არის მატერიალური და მისი შესაბამისი ნაკადების მოძრაობის პროცესის დაგეგმვა, ორგანიზაცია, შესრულება და კონტროლი შესყიდვის მომენტიდან წარმოების და საქონელმოძრაობის (ტრანსპორტირება და სასაწყობო მეურნეობა) ჩათვლით, საბოლოო მომხმარებლამდე, ბაზრის მოთხოვნების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით, მინიმალური დანახარჯებითა და საშუალებების რაციონალური გამოყენებით“. სილაბუსში კი ვკითხულობთ, რომ „სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტს შეასწავლოს: ღვინისა და სასმელების კანონმდებლობა სურსათისა და სასმელების კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებლების დაცვას; ინსტიტუციონალური ორგანიზაცია და ადმინისტრაციული ორგანოები ევროკავშირში და მათი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები; ყურძნის გაშენების, ღვინის წარმოებაში ნებადართული და დასაშვები ენოლოგიური მასალების, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების შესახებ შეტყობინებები; ვაზისა და ღვინის შესახებ კანონმდებლობა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში; მათი მნიშვნელობა კომპანიებისა და მწარმოებლებისათვის“.
- სილაბუსში **„ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“** არ არის დადგენილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური ზღვრები.
- სილაბუსში **„ღვინის ქიმია“** რამდენიმე ლაბორატორიული მეცადინეობა მეორდება. მაგალითად, N2: დურდოს შემადგენლობაში არსებული მჟავების (აქტიური, ტიტრული, მქროლავი) განსაზღვრა და N7: ღვინის მჟავების (აქტიური, ტიტრული, მქროლავი), განსაზღვრა. ორივე ერთიდაიგივე მეთოდია სხვადასხვა, თანაც მსგავს ნედლეულში და მათი ცალ-ცალკე მეცადინეობად გამოყოფა, ჩვენი აზრით, ხელოვნურია. ან მაგალითად, N3: დურდოს შაქრების და ეთილის სპირტის (მოც. კონც) განსაზღვრა და N8: ღვინოში შემავალი შაქრები: შაქრებისა და ეთილის სპირტის (მოც. კონც.) განსაზღვრა; N5: დურდოს ქიმიური შემადგენლობა: დურდოში ჯამური ფენოლური ნივთიერებების განსაზღვრა ფოლინ -ჩიოკალტეუს რეაქტივის გამოყენებით და N9: ღვინის ფენოლები: ღვინის ჯამური ფენოლური ნივთიერებების განსაზღვრა ფოლინ-ჩიოკალტეუს რეაქტივის გამოყენებით. N12 მეცადინეობა: „ღვინის

მინერალური ნითიერებები: მათი დასაშვები ნორმები, მინერალური ნივთიერებების (ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, რკინა) შემცველობის განსაზღვრა ღვინოში"; და N13 მეცადინეობა: „ღვინის მძიმე მეტალები: ღვინოში არსებული მძიმე მეტალები (ტყვია, კადმიუმი, კალა) და მათი განსაზღვრის მეთოდები, განსაზღვრა" - ჩვენი აზრით, შეუძლებელია, რომ ჩაეტიოს ერთ საათში. ასე, რომ, მიგვაჩნია, რომ მე-12 და მე-13 მეცადინეობების ხანგრძლივობა არ შეესაბამება დასახულ ამოცანებს. ამავე სილაბუსში არ არის განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური დასაშვები ზღვრები. ასევე, გაუგებარია თუ ლაბორატორიული სამუშაოები სულ 15-ია, რატომ ხდება სტუდენტის 5-ჯერ შეფასება? ჩვენი აზრით, შეფასების სისტემა დასახვეწია. ამავე დროს, ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ „ღვინის ქიმიის" ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება უნივერსიტეტის გარეთ დაწესებულებაში, მაშინ როცა უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ლაბორატორიული ბაზა ასეთი მეცადინეობების ჩასატარებლად. ჩვენთვის გაუგებარი დარჩა რა მექანიზმით ხდება ამ ლაბორატორიული სამუშაოების შეფასება.

- სილაბუსში **„ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი"** იგნორირებულია არარძემჟავა ბაქტერიების როლი. შეფასების კომპონენტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები და არ არის მოცემული ამ სამუშაოების შეფასების კრიტერიუმები. მაშინ როცა ლაბორატორიულ მეცადინეობებს ეთმობა 15 საათი.
- სილაბუსში **„ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია"** პირველ ოთხ ლექციაზე განხილულია მიკრობიოლოგიის საკითხები, რაც, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს ბიოქიმიის საგანს. ეს საკითხებია: მიკროორგანიზმების კლასიფიკაცია; რძემჟავა ბაქტერიები; ძმარმჟავა ბაქტერიები; საფუარები; საფუარების ნარევები და ჰიბრიდული საქარომიცეტები - ეს საკითხები, ჩვენი აზრით, უნდა ისწავლებოდეს ღვინის მიკრობიოლოგიაში და არა ღვინის ბიოქიმიაში. ლაბორატორიული მეცადინეობები, რომელშიც ხდება ღვინის მჟავების განსაზღვრა (N2, 3 და 4) წარმოადგენს „ღვინის ქიმიის" სილაბუსის N7 ლაბორატორიული მეცადინეობის დუბლირებას. თანაც, ღვინის ქიმიის კურსში ღვინის მჟავების განსაზღვრას ეთმობა ერთი საათი, ხოლო „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმიის" კურსში იგივე მჟავების ცალ-ცალკე განსაზღვრას ეთმობა 3 საათი (?!). ასევე დუბლირებულია ამ ორ კურსში ჯამური ფენოლების განსაზღვრა ფოლინ-ჩიოკალტეუს მეთოდით (იხ. N5 ლაბორატორილი მეცადინეობა ბიოქიმიის კურსში და N5 და 9 ლაბორატორიული მეცადინეობები ღვინის ქიმიის კურსში). დუბლირებულია ბიოქიმიის N11 ლაბორატორილი და ღვინის ქიმიის ასევე

N11 ლაბორატორიული ამოცანები: ფლავანოიდების განსაზღვრა ღვინოში. ამავე სილაბუსში არ არის განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური დასაშვები ზღვრები.

- სასწავლო არჩევით კურსში „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ მნიშვნელოვნად იგნორირებულია მიკროორგანიზმების როლი ნიადაგის წარმოქმნაში და ამ თვალსაზრისით, ვაზის ეკოლოგიასთან მიმართებაშიც.
- ზოგიერთ სილაბუსში (მაგ., „ღვინის წარმოების ხარისხის მართვა“, „ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი“) მოცემულ <u>ძირითად ლიტერატურაში</u> ბუნდოვნადაა წარმოდგენილი ლიტერატურული წყაროები (მითითებული არაა გამომცემლობა), რაც აძნელებს იმის შეფასებას, თუ რიგ შემთხვევებში, რამდენად ვალიდური ლიტერატურული წყაროები უდევს საფუძვლად სწავლების პროცესს პროგრამის ფარგლებში განსაზრღვრული მიზნების მისაღწევად;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- სილაბუსში „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“ თავიდან ჩამოყალიბდეს ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი და თემატიკა, განისაზღვროს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა;
- სილაბუსი „საწარმოო ნარჩენების მართვა“ უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ძირითადი ლიტერატურითა და სახელმძღვანელოთი;
- მთლიანად შეიცვალოს „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკის“ სილაბუსის შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში დასახელებასთან;
- სილაბუსში „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური ზღვრები;
- სილაბუსში „ღვინის ქიმია“ აღმოიფხვრას დუბლირებები საკუთრივ ამ კურსის ლაბორატორიულ სამუშაოებში და ასევე, „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმიის“ ლაბორატორიულ სამუშაოებთან, განისაზღვროს შუალედური და

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, დაიხვეწოს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა; - სილაბუსში „ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი“ გათვალისწინებულ იქნას არარძენჟავა ბაქტერიების როლიც, შეფასების კომპონენტში გათვალისწინებულ იქნას ლაბორატორიული სამუშაოები და განისაზღვროს ამ სამუშაოების შეფასების კრიტერიუმები; - სილაბუსში „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია“ შეიცვალოს პირველი ოთხი სალექციო მასალის თემატიკა და მოვიდეს კურსის დასახელებასთან შესაბამისობაში, აღმოიფხვრას დუბლირებები ლაბორატორიულ სამუშაოებში „ღვინის ქიმიის“ კურსთან; - გადაიხედოს კურსებში მინიმუმ ძირითადი ლიტერატურა და მოხდეს ვალიდურობის გადამოწმება იმ ლიტერატურული წყაროების, რომელებთან მიმართებაშიც არ არის მითითებული გამომცემლობა, და მათი ვალიდურობის შემთხვევაში, ისინი სათანადოდ წარმოდგენილი იქნან სილაბუსებში გამომცემლობის მითითებით; - -სასწავლო კურსში „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ აუცილებლად და სირღმისეულად ისწავლებოდეს მიკროორგანიზმების როლი ნიადაგის წარმოქმნაში და ამ თვალსაზრისით, ვაზის ეკოლოგიასთან მიმართებაშიც.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐<u>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</u>

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის კვლევითი კომპონენტი შედგება 45 კრედიტისაგან. ის თავის თავში გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი (5 კრედიტი), თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი (10 კრედიტი), სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი) თითოეული ამ აქტივობის შეფასების წესი და კრიტერიუმები მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესები ასევე მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები დამსაქმებლებთან საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ. თუმცა, მიუხედავად ამ მემორანდუმებისა, შესაბამისი სილაბუსების გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ საწარმოო პრაქტიკა სინამდვილეში ატარებს მხოლოდ და მხოლოდ გაცნობით ხასიათს და **სტუდენტები ვერ იძენენ სათანადო პრაქტიკულ/საშემსრულებლო და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.** საწარმოო პრაქტიკის დღიურების ჩანაწერები ძირითადად ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათისაა, მაგალითად: გავზომეთ ტემპერატურები, დავაკვირდით დუღილის პროცესს. გაუგებარია რისი ტემპერატურა გაზომეს, როგორ გაზომეს, რა შედეგი მიიღეს, რა დასკვნა გააკეთეს ამ შედეგიდან და სხვ. ასე, რომ პრაქტიკის დღიურების ჩანაწერები ფორმალურ ხასიათს ატარებს. პრაქტიკული უნარების განვითარებას პროგრამის მიხედვით ემსახურება ორი კურსი: „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ და „საველე და საწარმოო პრაქტიკა“. მაგრამ ორივე კურსის სილაბუსიდან ირკვევა, რომ ეს პრაქტიკა მხოლოდ და მხოლოდ გაცნობით ხასიათს ატარებს. მაგალითად, **„საველე და საწარმოო პრაქტიკის“** სილაბუსის შინაარსიდან ჩანს, რომ სტუდენტები საერთოდ არ არიან ჩართული პრაქტიკულ საქმიანობაში. ვინაიდან, სტუდენტი სულ წარმოებაში ატარებს 45 საათს, ანუ 6 სამუშაო დღეს, თანაც წყვეტილად, კვირაში 3 საათის განმავლობაში. ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, შეუძლებელია სტუდენტმა პრაქტიკული საქმიანობის უნარები შეიძინოს. ყოველკვირეული თემების შინაარსის გაცნობა ცხადყოფს, რომ სტუდენტი უბრალოდ ზედაპირულად ეცნობა (ათვალიერებს) ამა თუ იმ საწარმოო უბანს და/ან

პროცესს. მაგალითად, N2 მეცადინეობა: სილაბუსის მიხედვით ამ ერთ მეცადინეობაში სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ისეთი სრულიად სხვადასხვა საკითხები როგორიცაა „ჯიშური აგროტექნიკის დადგენის მეთოდიკა და მათემატკური ვარიაციული სტატისტიკური ანალიზი: საშუალო არითმეტიკული ანალიზი დასკვნები რეკომენდაციები; ვენახის გაშენება, ნიადაგის მოვლა-დამუშავება, განოყიერებისა და ირიგაციის ოპტიმალური ნორმების დადგენა მწვანე ნაწილების ოპერაციები და სხვ;“ - ჩვენი აზრით ამ საკითხების ერთ მეცადინეობაში გაერთიანება ძალიან ხელოვნური და მიზანშეუწონელია. ცხადია, აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს ამ საკითხების მხოლოდ ზედაპირულ გაცნობაში, რაც სტუდენტს არანაირ პრაქტიკულ უნარს არ უვითარებს. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერი სხვა მეცადინეობის შესახებ.

სილაბუსში **„კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“,** ჩვენი აზრით, მოცემული უნდა იყოს ზოგადად კველევის და ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდები და არა კონკრეტულად მეღვინეობაში არსებული კვლევის მეთოდები. მაგალითად, უნდა ისწავლებოდეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის მეთოდები, პრობლემის განსაზღვრა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ექსპერიმენტის სანდომიანობის განსაზღვრა, განმეორებადობა, ექსპერიმენტის დაგეგმვა, დასკვნის გაკეთება და სხვ. მოცემულ სილაბუსში კი ნაცვლად ამ საკითხებისა მოცემულია მეღვინეობაში არსებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია. ამავე სილაბუსის პრაქტიკის აღწერაში ვკითხულობთ: „სილაბუსით განსაზღვრული პრაქტიკული აქტივობების განხორციელების მიზნით სტუდენტი გაივლის საწარმოო პრაქტიკას 15 კვირის განმავლობაში. პრაქტიკისათვის გამოყოფილი იქნება კვირის ერთი დღე. სტუდენტი **კვირაში 2 საათს გაატარებს** საწარმოში, პრაქტიკის პირველ კვირას სტუდენტები **გაეცნობიან** ინფრასტრუქტურას და გარემოს. ორგანიზაციის მხრიდან გამოყოფილი იქნება მენტორი, რომელიც სტუდენტებს **აუხსნის** ორგანიზაციის ძირითად მიზნებსა და საქმიანობას, ამასთანავე, ისინი **მიიღებენ ინფორმაციას** საწარმოში გამოყენებული და დანერგილი ტექნოლოგიებისა და ღვინის წარმოების ოპერაციების შესახებ, **დააკვირდებიან** მიმდინარე სამუშაოებს, **შეხვდებიან** თანამშრომლებს. მენტორი ასევე **გააცნობს** მათ შრომის უსაფრთხოების წესებს“- საიდანაც ჩანს, რომ თვითონ **სტუდენტი არავითარ პრაქტიკულ საქმიანობას არ ასრულებს.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- შეიცვალოს სილაბუსის „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ შინაარსი და მოვიდეს მის დასახელებასთან შესაბამისობაში;
- სილაბუსები „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ და „საველე და საწარმოო პრაქტიკა“ ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გათვალისწინებულ იქნას სტუდენტების უშუალო მონაწილეობა საწარმოო პროცესებში და არა მხოლოდ დათვალიერება/გაცნობა;
- გაიზარდოს საწარმოო უბანზე სტუდენტების დასწრების საათების რაოდენობა სათანადო დონემდე;
- ძირეულად შეიცვალოს პრაქტიკის დღიურების ჩანაწერების წარმოების წესი და შინაარსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -არ არის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐<u>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</u>

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმი მოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაში სწავლების მეთოდებად მითითებულია დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ, ზეპირსიტყვიერების მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. თუმცა, როგორც ინტერვიუებიდან და სილაბუსების ანალიზიდან ირკვევა ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობის მეთოდების გამოყენების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, სილაბუსებში „ამპელოგრაფია“ და „ნიადაგის და ვაზის ეკოლოგია“ საერთოდ არ არის გამოყენებული სწავლების მეთოდი „პრაქტიკა“, რაც ჩვენი აზრით საკმაოდ ასუსტებს სწავლის შედეგის მიღწევის საშუალებებს. ნაცვლად ამისა ტარდება „პრაქტიკული“ მეცადინეობები, რომლებიც კვლავ თეორიულ ხასიათს ატარებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ ინტერვიუ; ○ სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები - გაძლიერდეს პრაქტიკისა და ლაბორატორიული მუშაობის მეთოდების გამოყენება სწავლების მეთოდებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სკალით. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტის შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ უშუალოდ საგანმანათლებლო

პროგრამის ხელმძღვანელისაგან და საგნის პედაგოგისგან, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სასწავლო კურსში არ არის განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. მართალია, აპელაციის და პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმები ზოგადად სტუ-ს დადგენილი აქვს, მაგრამ პროგრამაში ეს დოკუმენტები არ არის ასახული და არც მითითებული. სტუდენტები აპელაციის მექანიზმებს არ იცნობენ საკმარისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ ვებგვერდი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები - პროგრამაში მიეთითოს აპელაციისა და პლაგიატის საწინააღმდეგო დოკუმენტები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -არ არის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				X

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სტუდენტები იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ლექტორებთან კონსულტაციის გზით. დამატებით პირველსემესტრელი მაგისტრანტებისთვის იმართება შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან ლექტორები და ხდება პროგრამის განხილვა. ○სტუდენტები აკადემიური მიღწევის შესახებ ინფორმაციას ონლაინ პლატფორმის მეშვეობით იღებენ, სადაც თავსდება მათი შუალედური თუ ფინალური შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ აპელაციის მექანიზმის შესახებ ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ბევრმა სტუდენტმა არ იცოდა ამ შესაძლებლობის

შესახებ და არცერთ სტუდენტს უსარგებლია ამ ფუნქციით.

- უნივერსიტეტს აქვს შესყიდული საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებზეც წვდომა სტუდენტებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან აქვთ.
- სტუდენტები მეილის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას დასაქმების და სტაჟირების შესახებ, თუმცა დამსაქმებლებთან შეხვედრისას მხოლოდ ერთმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი კურსდამთავრებულია დასაქმებული.
- უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში. კერძოდ, სამი სტუდენტი იყო მილანის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სტუდენტს ჰქონდა საშუალება გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ კონფერენციაზე და ამ ვიზიტის დაფინანსება მოხდა ერთ-ერთი მეწარმის მიერ.
- უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს დროული ინფორმაცია მისი შეფასების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შედეგების აპელაციის სისტემის გამარტივება და მის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;
- სტუდენტებისთვის საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე უნივერსიტეტის გარეთ ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

- სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც რეგულარულად ხვდება მათ და უწევს კონსულტაციას სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის დანიშვნაც, რომელსაც საკვლევი თემის შესაბამისი გამოცდილება გააჩნია.
- მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალს, კვლევის ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებებს.
- ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს დეკანატის მიერ მიწოდებულ ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ, რომელშიც ცვლილებების შეტანა სტუდენტის მოთხოვნით შესაძელებელია სემესტრის დასაწყისში.
- სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ მაგისტრთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დებულება მაგისტრატურის შესახებ
- გასაუბრება სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	x			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სტუ-ს მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებაში ჩართულია როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი. რომელთაც მეტწილად გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბოლო 5 წლის ნაშრომების ჩამონათვალით (დოკუმენტაცია-დანართი 3), ესენია: სახელმძღვანელოები, გრანტები, საერთაშორისო პროექტები, გამოგონებები - მცირე რაოდენობით, სტატიები, პუბლიკაციები - შრომების კრებულებში, ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, იშვიათად უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში. მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე. ზოგიერთ პერსონალს კი, ბოლო 5 წლის ნაშრომები ან არ აქვს წარმოდგენილი, ან საერთოდ არ აქვს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით **15** აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მათ შორის აფილირებული პროფესორი -5, აფილირებული ასოცირებული პროფესორი -4, მოწვეული პერსონალი - 6. მაგრამ, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ცხრილიდან ჩანს, რომ პროგრამაში დასარექმებულია **20** აკადემიური პერსონალი. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით თანაფარდობა აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და მოწვეულ პერსონალს შორის (9/6), დამაკმაყოფილებელია. სამაგისტრო პროგრამაზე აქტიური სტუდენტების რაოდენობა არის 30. პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა არის 1/2, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. ეს უზრუნველყოფს

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური პერსონალის რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა 3 ახალი პერსონალით, ხოლო მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 4 ახალი პერსონალით. რაც ადასტურებს, რომ არსებობს პროგრამის განვითარების სურვილი და ახალი კადრების მოზიდვის მექანიზმი. პროგრამა უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და დამხმარე საკმაოდ დიდი რაოდენობის პერსონალით - **96** ადამიანი, თუმცა **გაურკვეველია აღნიშნული რაოდენობის საჭიროება.** პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება (CV). სილაბუსების შინაარსიდან და გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ნაკლებად არის ჩართული სხვადასხვა საგნების სილაბუსების შინაარსის შემუშავებაში და კარგად არ იცნობს მათი განხორციელების პროცესებს. პროგრამაში წარმოდგენილი არის 25 სილაბუსი. რომელთა უმრავლესობაში არის მთელი რიგი ხარვეზები და არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. (აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის პუნქტი 2.3. სასწავლო კურსი). ლაბორატორიული მეცადინეობები თითქმის არ ტარდება უნივერსიტეტში (ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან), ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები ორგანიზაციებსა და კომპანიებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული, ატარებს გაცნობით ხასიათს და სტუდენტი ვერ იძენს სათანადო პრაქტიკულ/საშემსრულებლო და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ მაგისრტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები; ○ საგნების სილაბუსები; ○ გაფორმებული მემორანდუმები; ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან,პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები • პროგრამის ხელმძღვანელმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სილაბუსების შემუშავება-რედაქტირებაში და სასწავლო-საწარმოო მეცადინეობა-პრაქტიკის სწორად დაგეგმვა-შესრულებაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის • პროგრამაში დასაქმებულმა აკადემიურმა, სამეცნიერო და მოწვეულმა პერსონალმა მეტად განახორციელოს მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, რადგან ისინი ხელმძღვანელობენ მაგისტრანტის კვლევას, არიან რეცენზენტები და აფასებენ სამაგისტრო ნაშრომებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სტუ ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში დასაქმებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებას. რეგულარულად ტარდება აღნიშნული პერსონალის გამოკითხვა, რომელთა უმრავლესობა კმაყოფილია უნივერსიტეტის ხელშეწყობით და კარიერული განვითარების შესაძლებლობებით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მათ მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში, სამეცნიერო და აკადემიურ ღონისძიებებში, როგორიცაა: კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, გაცვლითი საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები.
- წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს პროგრამაში დასაქმებული პერსონალის შეფასებას სასწავლებელში შექმნილი საფაკულტეტო კომისიების მიერ, რომლებიც განიხილავენ კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს და აფასებენ მეცადინეობის ხარისხს. ანალიზის საფუძველზე ხდება შესაბამისი დასკვნების გამოტანა.
- ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება პროგრამაში დასაქმებული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ კითხვარების საშუალებით, რომელსაც ასევე განიხილავს და აანალიზებს საფაკულტეტო კომისია და ახდენს შესაბამის რეაგირებას, თუმცა ინტერვიუზე წარმოდგენილ სტუდენტებს ასეთი კითხვარის არსებობაზე ინფორმაცია არ ჰქონდათ.
- მათი მაღალი კომპეტენციის მიუხედავად, აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობა უცხოურ რეფერირებად ჟურნალში უკიდურესად მცირეა (ერთი ორი პედაგოგის გარდა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ძირითად და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები - რეკომენდებულია უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების და სტატიების გამოქვეყნება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ○ სამაგისტრო პროგრამის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროგრამის და გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- შენობაში არის ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურადა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. უსადენო ინტერნეტი ვრცელდება ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე.
- სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება 28 სალექციო აუდიტორია, 8 საპროფესორო ოთახი, 3 კომპიუტერული კლასი, შეხვედრების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი და 32 სხვადასხვა სახის ლაბორატორია. მშენებლობის პროცესშია სადეგუსტაციო ოთახი.
- საწარმოო და საველე პრაქტიკას სტუდენტები გადიან სხვადასხვა წარმოებებსა და ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს დადებული ხელშეკრულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სტუ-ს ბიბლიოთეკის ვებგვერდი;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

- უცხოენოვანი სამეცნიერო ბაზებით სარგებლობა სტუდენტებს შეუძლიათ მხოლოდ უნივერსიტეტიდან. სასურველია, პირადი ელექტრონული მონაცემების მითითებით სტუდენტებს ნებისმიერი ადგილიდან ჰქონდეთ წვდომა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 14625 ლარს. მისი გაზრდა დამოკიდებულია მისაღები კონტიგენტის გაზრდაზე. აქვე მითითებულ მტკიცებულობებში ფაკულტეტის ბიუჯეტი, დანართი 14, კი სრულიად განსხვავებულია. ბიუჯეტი გათვლილია 15 სტუდენტზე. საათების რაოდენობა ერთ სტუდენტზე შეადგენს 62 სთ-ს. სულ საათების რაოდენობა 15 სტუდენტზე 936 სთ-ს (ალბათ 930 სთ უნდა იყოს). ბიუჯეტი შეადგენს 33 750 ლარს. ხელფასი პროფესორის, დამხმარეს - 23 330ლარს, ზედნადები ხარჯები: ადმინისტრაცია, პრემია, დანამატი, ბონუსი, მოსაკრებელი, დენი, წყალი, გაზი, ინტერნეტი, კავშირგაბმულობა, ფოსტა - 10 230 ლარი, განვითარების ფონდი - 190 ლარი, რაღაცის 1%?
- გაურკვეველია რითი ხდება სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენა. კონფერენციებზე, სემინარებზე, გაცვლით პროგრამებზე და ა.შ. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების დაფინანსება, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშში არის მოცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

შედეგების ჩათვლით • თვითშეფასების დოკუმენტი; • პროგრამის ბიუჯეტი, დანართი 14; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: • წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები • გასწორდეს ხარვეზები ბიუჯეტის წარმოდგენილ დოკუმენტში • სრულად დაითვალოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა				X

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შიდა ხარისხის შეფასების სისტემა და მექანიზმი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან სისტემასთან.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც შედგება ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტისგან. ესენია: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება. ამ ციკლის საფუძველია მოსაზრება, რომ რომელიმე პროცესის უწყვეტი განვითარებისთვის აუცილებელია პროცესის სწორი დაგეგმვა და გეგმის შესრულება.
- შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად შესაბამის ორგანოებს შედგენილი აქვთ: კომისიის მიერ ლექციის შეფასების კითხვარი, კომისიის მიერ სემინარის შეფასების კითხვარი, კომისიის მიერ პრაქტიკული მეცადინეობის შეფასების კითხვარი, კომისიის მიერ ლაბორატორიული მეცადინეობის შეფასების კითხვარი, აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და შესაბამისი პედაგოგის შეფასება, კითხვარი კურსდამთავრებულთათვის და დამსაქმებლის გამოკითხვის ბარათი. თვითშეფასების მასალებში, (დანართი 17), წარმოდგენილია პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების შეფასების ანგარიშები. ინტერვიუს დროს,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში არის ძალიან ბევრი ფაკულტეტი და პრაქტიკულად შეუძლებელია შესაბამისი კომისიების შექმნა ლექციების, ლაბორატორიული მეცადინეობების და პრაქტიკულების ჩატარების ხარისხის შესამოწმებლად. მათვე აღნიშნეს, რომ სტუდენტებთან პრობლემების შესახებ კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება ანონიმური წერილების მეშვეობით, რომელსაც სპეციალურ ყუთში ათავსებენ. უკუკავშირის შესახებ შეკითხვა ღიად დარჩა. ინტერვიუზე ასევე გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილმა სტუდენტებმა არ იცოდნენ კითხვარების შესახებ.

- მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წადგენის მიზნით შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელთა შორის განაწილდა პასუხისმგებლობები შესაბამისი კომპეტენციის მიხედვით. მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაციის მიზნით ხდებოდა შეკრებები. პროცესის კოორდინაცია ხდებოდა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ.
- პროგრამაზე მუშაობის დროს თვითშეფასების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრაში ჩართული იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში. მიუხედავად ამისა სააკრედიტაციო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას დადგინდა, რომ პროგრამა არ არის შესაბამისობაში აკრედიტაციის მეორე და მეოთხე სტანდარტების მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი, თანდართული დოკუმენტაცია;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- მეორე და მეოთხე სტანდარტები მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „მევენახეობა და მეღვინეობა“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2015 წლის 18 მარტის №43 გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭა აკრედიტაცია. ექსპერტებს დასკვნაში ჰქონდათ ერთადერთი რეკომენდაცია - მისანიჭებელი კვალიფიკაცია სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრის (0104) ნაცვლად აგრარული მეცნიერებების მაგისტრი (0101) მინიჭებულიყო. აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

შედეგების ჩათვლით ○ პროექტის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში და დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტში, მონიტორინგის ფარგლებში, შექმნილია საფაკულტეტო კომისია, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. მონიტორინგი ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ტარდება გამოკითხვა სხვადასხვა კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ. მიღებული ინფორმაციით იკვეთება საკითხის ძლიერი და სუსტი მხარეები, რის საფუძველზეც საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ცვლილებების განხორციელების შესახებ.
- პროგრამის სრულყოფის და ობიექტურად შეფასების მიზნით ჩართული იყვნენ დამსაქმებლები და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. მოხდა მათ მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში და დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები				X

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მევენახეობა და მეღვინეობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				X
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				X
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				X

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანა წიკლაური ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ლევან გულუა ხელმოწერა

მამუკა კოტეტიშვილი ხელმოწერა

ქეთი რობაქიძე ხელმოწერა